

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
ანგარიში
01.01.2016-31.12.2016



თბილისი

ოკუპირებული ტერიტორიები	4
კონტრდაზვერვითი საქმიანობა	7
ტერორიზმთან ბრძოლა	12
ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა.....	15
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	17
ანალიტიკური საქმიანობა	19
პიროვნების პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	20
სამართლებრივი ბაზა და სასამართლოებთან ურთიერთობა	21
ადამიანური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	22
უწყებათშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობა	25

ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს გამოწვევაა. სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილდღეობისა და სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარებისთვის.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უწყევი ნებაა, რომ განვითარდეს და გამყარდეს დემოკრატიული საზოგადოება, ეკონომიკური თავისუფლება და სამართლებრივი სახელმწიფო.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ხელმძღვანელობს სახელმწიფოსა და მისი თითოეული მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით. სამსახურის საქმიანობა ხორციელდება იმგვარად, რომ თანაბრად იყოს დაცული როგორც ქვეყნის უსაფრთხოება, ისე ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა ემყარება კანონიერების, ადამიანის უფლებებისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უპირველესი მისიაა საქართველოს კონსტიტუციური წყობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის საშინაო თუ საგარეო საფრთხეებისგან დაცვა და ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში, მსოფლიო და რეგიონული უსაფრთხოების არქიტექტურის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევების ფონზე, ეროვნული უსაფრთხოების დაცვის კუთხით, სამსახურის პრიორიტეტს წარმოადგენდა შემდეგი მიმართულებები: ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალის არსებობა და მისგან მომავალი საფრთხეები; ქვეყნის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობა; კორუფციითა და სამოხელეო დანაშაულიდან მომდინარე საფრთხეები და გამოწვევები; საერთაშორისო ტერორიზმი; ჰიბრიდული და კონვენციური ომის წარმოშობის საფრთხეები; ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული მასალების გავრცელებასთან დაკავშირებული საფრთხეები და ა.შ.

სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მისი კომპლექსურობიდან და ყოველდღიური სირთულებიდან გამომდინარე, მუდმივად საჭიროებს სამსახურის დინამიურ განვითარებასა და მოდერნიზაციას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურისთვის განსაკუთრებულ პრიორიტეტს წარმოადგენს სწორი საკადრო პოლიტიკის შემუშავება, ეფექტიანი მართვის სისტემის დამკვიდრება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება. სამსახურისთვის უმნიშვნელოვანესია ოპერატიული და ანალიტიკური შესაძლებლობების კიდევ

უფრო განვითარება, შიდაუწყებრივი და უწყებათშორისი კოორდინაციის, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება.

მუდმივად ცვალებად და გამოწვევებით აღსავსე გარემოში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიზანია, კონსტიტუციისა და ქვეყნის კანონმდებლობის დაცვით გაანეიტრალოს ყველა ის საფრთხე და გამოწვევა, რომლის წინაშეც ყოველდღიურად დგას სახელმწიფო.

ოკუპირებული ტერიტორიები

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მთავარი გამოწვევაა ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა. ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში დიდი ოდენობით რუსული სამხედრო კონტინგენტი და მზარდი მილიტარიზაცია ქართული სახელმწიფოსთვის ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის მცდელობა, იქ მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დისკრიმინაცია, თავისუფალი გადაადგილებისა და განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ადგილობრივების უკანონო დაკავება (ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით), ე.წ. “ზორდერიზაციის” პროცესი (მავთულხლართების, ღობეების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების აღმართვა და ტრანშეების გათხრა), ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მძიმე კრიმინოგენული ვითარება (გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანების გატაცებები, ყაჩაღობები, მკვლევლობები, მოსახლეობაზე თავდასხმა), ასევე ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცის რუსული საფრენი აპარატების მიერ დარღვევის ფაქტები და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების შეკავებისა და რუსეთის ფედერაციის მხრიდან ანექსიის პროცესებისთვის ხელშეშლის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივად ახდენს ადგილზე არსებული ვითარების მონიტორინგს, განვითარებული პროცესების შეფასებას, ატარებს შესაბამის ღონისძიებებს, აქტიურად მონაწილეობს ანტიანექსიური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეებისა და იქ განვითარებული პროცესების შესახებ, მუდმივად

აწვდის ინფორმაციას შესაბამის სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებს.

უსაფრთხოების სამსახური, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისა და ადამიანის უფლებების მაქსიმალური დაცვის მიზნით, მის ხელთ არსებული ყველა მექანიზმის გამოყენებით, სხვა პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად, ახორციელებს ადგილზე უსაფრთხოების დონისძიებების კოორდინაციას.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჩართულია ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში. 2016 წელს გაიმართა დისკუსიების ოთხი შეხვედრა (35-ე, 36-ე, 37-ე და 38-ე). სუს-ის სპეციალურმა წარმომადგენელმა I სამუშაო ჯგუფის (რომელშიც განიხილება უსაფრთხოების საკითხები) ფარგლებში, მიმოიხილა ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება და გამოწვევები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან წამყვანი უწყებაა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფორმატის შეხვედრებში. აღნიშნული მექანიზმის ფარგლებში, სუს-ი მუდმივად აყენებს რუსეთის საოკუპაციო ძალისა და დე ფაქტო ხელისუფლების მიერ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინციდენტების¹, ადამიანის უფლებების დარღვევის და ე.წ. „ბორდერიზაციის“ საკითხებს.

2016 წლის მაისში ცენტრალური ხელისუფლების, ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი სახელმწიფოების ძალისხმევით, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით (ქ. გალში) ოთხწლიანი პაუზის შემდეგ აღდგა IPRM-ის შეხვედრები. გასულ წელს გალში IPRM-ის 6, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით (სოფ. ერგნეთში) 11 შეხვედრა გაიმართა.

IPRM-ის ფარგლებში შექმნილი ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმი ე.წ. „ცხელი ხაზი“ 24 საათიანი კავშირის საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM), რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალებისა და ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლებს შორის. ცენტრალური ხელისუფლების სახელით, მათთან კომუნიკაციას „ცხელი ხაზის“ მეშვეობით სუს-ის მეკავშირე-ოფიცერი ახორციელებს,

¹ IPRM-ის ფარგლებში ინციდენტებად განიხილება ოკუპაციის ხაზის გადაკვეთის ბრალდებით უკანონო დაკავებები, გატაცებები, ყაჩაღობა, რუსული მფრინავი საშუალებების მიერ ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტები და სხვადასხვა ტიპის დარღვევები.

რომელიც კავშირზეა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა (ოკუპაციის ხაზსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოდგენილი უწყება) და სხვა შესაბამის უწყებებთან. „ცხელი ხაზით“ ინფორმაციის ოპერატიული გაცვლა ხელს უწყობს საოკუპაციო ხაზსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ინციდენტებისა და დამაბულობის პრევენციას და უმოკლეს ვადაში გარკვევა-გადაწყვეტას. საანგარიშო პერიოდში „ცხელი ხაზი“ 1591-ჯერ ამოქმედდა.

უსაფრთხოების სამსახურისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ოკუპაციის ხაზის გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით განხორციელებული უკანონო დაკავებები. 2016 წელს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით აღნიშნული უკანონო ბრალდებით 134 ადამიანია დაკავებული, რომელთაგან 132 გათავისუფლდა (ერთი პირი გათავისუფლდა 2017 წელს, ხოლო ერთი კვლავ უკანონო პატიმრობაშია). ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით სუს-ის მიერ 193 უკანონო დაკავება იქნა რეგისტრირებული². უკანონოდ დაკავებულთა ძირითადი რაოდენობა ოკუპირებული გალის რაიონის მაცხოვრებელია. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა მექანიზმსა და ბერკეტს, მათ შორის, „ცხელ ხაზსა“ და IPRM-ის შეხვედრებს, რათა დროულად მოხდეს უკანონოდ დაკავებულთა გათავისუფლება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან (EUMMM) თანამშრომლობას. მიუხედავად იმისა, რომ საოკუპაციო რეჟიმის მიერ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას არ ეძლევა მანდატით განსაზღვრული უფლება ოკუპირებულ რეგიონებშიც განხორციელოს მონიტორინგი, იგი (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უსაფრთხოების სამსახურის შესაბამის დანაყოფებთან ერთად) წარმოდგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ კონტრიბუტორს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში. ამასთან, ერთადერთი საერთაშორისო მონიტორია რეგიონში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) და ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) წარმომადგენლობებთან თანამშრომლობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია

² ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგისტრირებული ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით დაკავებული პირების რაოდენობა ჯამური ციფრის დაახლოებით 10-15%-ს შეადგენს.

ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს როლი ჟენევის დისკუსიებსა და IPRM-ის შეხვედრებში.

სამსახური ასევე აქტიურად თანამშრომლობს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან (ICRC) ისეთ საკითხებზე, როგორცაა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა და მათი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოყვანა.

უსაფრთხოების სამსახური ჩართულია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით ორგანიზებულ სამმხრივი შეხვედრების ფორმატში, რომელიც 90-იანი წლების კონფლიქტებისა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ და დაღუპულ პირთა მოძიებას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის ბოლოს დე ფაქტო ცხინვალის წარმომადგენლების ინიციატივით, სამმხრივი შეხვედრები შეჩერდა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი ძალისხმევით, აღნიშნული ფორმატი განახლდა და საანგარიშო პერიოდში ორი შეხვედრა³ გაიმართა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, მისი მანდატის ფარგლებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებულ ვითარებას აცნობს პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს თანამდებობის პირებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს. ამ მიზნით, 2016 წელს სამსახურმა საოკუპაციო ხაზზე სხვადასხვა მაღალი რანგის ოფიციალური პირებისა და მედიის წარმომადგენელთა 27 ვიზიტს⁴ გაუწია ორგანიზება.

კონტრდაზვერვითი საქმიანობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი კონტრდაზვერვითი საქმიანობაა. საანგარიშო პერიოდში, სამსახური ახორციელებდა საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების მისწრაფებების გამოვლენას და განეიტრალებას, გადაწყვეტილებების მიმღები პირებისათვის

³ ანალოგიური მექანიზმი ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით მიმდინარეობს ორმხრივ ფორმატში (ოკუპირებული აფხაზეთის წარმომადგენლები და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება) და მასში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ჩართულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

⁴ საოკუპაციო ხაზს ესტუმრნენ ბრიტანეთის, გერმანიის, ლიტვის, ბელარუსის, ავსტრიის, ლატვიის, აშშ-ს, ბოსნია-ჰერცეგოვინას, პარაგვაის, სლოვაკეთის და საფრანგეთის წარმომადგენლები.

დროული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას, სახელისუფლებო წრეებისა და უსაფრთხოების სტრუქტურების დაცვას უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების შეღწევისაგან. ამასთან, კონტრდაზვერვითი საქმიანობა მიმართული იყო სახელმწიფო საიდუმლოებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების რეჟიმის დაცვაზე, ასევე საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტრდაზვერვით უზრუნველყოფაზე.

უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურები ლეგალური და არალეგალური პოზიციებიდან მუდმივად ცდილობენ შეაღწიონ ხელისუფლების ორგანოებსა და ქვეყნის უსაფრთხოების სტრუქტურებში, მოიპოვონ წვდომა სახელმწიფო საიდუმლოებაზე, გადაიბირონ ან/და ჩანერგონ კონკრეტული პირები, მოიპოვონ ინფორმაცია საქართველოს პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში მიმდინარე პროცესების შესახებ. მათ ძირითად მისწრაფებას ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენა წარმოადგენს.

აღნიშნულის გასანეიტრალებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა საქართველოში მოქმედი უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის, გეგმების, მათ მიერ გამოყენებული ძალებისა და საშუალებების, მოქმედების ფორმებისა და მეთოდების, დაინტერესების ობიექტებისა და კავშირების შესწავლას, ასევე სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების გამოვლენას და აღკვეთას.

კონტრდაზვერვითი ამოცანების სრულყოფილად გადასაჭრელად მუდმივად ხორციელდებოდა ქვეყანაში შექმნილი ოპერატიული ვითარების მონიტორინგი. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა გაზრდილი ნაკადების კონტროლის შედეგად, გამოვლინდნენ პირები, რომელთა ქმედებებში იკვეთება უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან შესაძლო კავშირის ნიშნები. დადგენილია მათი კონტაქტები საქართველოს მოქალაქეებთან. მიმდინარეობს აღნიშნული კონტინგენტის ოპერატიული შესწავლა, რათა დროულად იქნას აღკვეთილი შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებები.

სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები სადაზვერვო ინფორმაციისა და შესაბამისად, სასურველი შედეგის მიღებას, არაძალისმიერი მეთოდების გამოყენებით, ე.წ. „რბილი ძალის“ კონცეფციის მიხედვით ცდილობენ. ისინი აქტიურად იყენებენ „სახალხო დიპლომატიის“ და „ინფორმაციული დივერსიის“ კომპონენტებს. აღნიშნულის გასანეიტრალებლად, კომპლექსურად და გეგმაზომიერად ტარდებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები საქმიანობაში ჩართული ძალებისა და მათი დაფინანსების წყაროების გამოსავლენად, ასევე, იმ პირთა დასადგენად, რომლებიც შესაძლოა თანამშრომლობდნენ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან.

უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესის სფეროს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სუბიექტები, ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა, ასევე საქართველოს ეკონომიკური პოტენციალისა და ბაზრის შესწავლა წარმოადგენს. ეკონომიკური შპიონაჟი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ცალკეული კომპანიების საქმიანობას, არამედ ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე. აღნიშნული საფრთხეების განეიტრალებისა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნით, სამსახურის მიერ ტარდებოდა შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, იმ პირთა გამოვლენა, რომლებიც შესაძლოა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების დავალებით მოქმედებდნენ.

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ჩართული სტრუქტურები, რომლებიც მოიპოვებენ და ფლობენ საიდუმლო ინფორმაციას, ავლენენ და ანეიტრალებენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების საქმიანობას, თავადაც წარმოადგენენ მოწინააღმდეგის სამიზნეს. საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული მიმართულებით სისტემატიურ რეჟიმში მიმდინარეობდა უსაფრთხოებისა და სადაზვერვო უწყებებში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების შეღწევის თავიდან აცილებისკენ მიმართული საქმიანობა. ასევე, ხორციელდებოდა აღნიშნული უწყებებიდან ინფორმაციის გადინებისა და ამავე უწყებებში დეზინფორმაციის მოხვედრის/გავრცელების პრევენცია, ჯაშუშების შეღწევის არხების გამოვლენა და შესაბამისი კონტრღონისძიებების გატარება.

პერმანენტულად ხორციელდებოდა პრემიერ-მინისტრის, ასევე სხვა სამთავრობო უწყებების ხელმძღვანელების და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირების ინფორმირება უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ წარმოებული საქმიანობის შესახებ, მათ მიერ გამოყენებული ძალებისა და საშუალებების, მოქმედების ფორმებისა და მეთოდების, ასევე მათგან მომდინარე საფრთხეებისა და გასატარებელი კონტრზომების შესახებ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის საქმიანობა მიმართული იყო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების შეღწევის პრევენციაზე, ცალკეულ პირთა დესტრუქციული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამოვლენასა და აღკვეთაზე. აღნიშნული მიმართულებით ოპერატიული ღონისძიებები ტარდება 99 პირის მიმართ.

დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურები, აქტიურად ცდილობენ მოიპოვონ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით, გრძელდება მუშაობა შიდა საფრთხეებისა და ინფორმაციის გადინების პრევენციაზე, უსაფრთხოების ზომებისა და პერსონალის

ცნობიერების ამაღლებაზე, აგრეთვე იმ სუბიექტთა გამოვლენაზე, ვინც ცდილობდა ავტორიზებული წვდომა ქვეყნის ინტერესების საზიანოდ გამოეყენებინა.

ზემოაღნიშნული მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში, 164 ორგანიზაცია-დაწესებულებაზე (81-სახელმწიფო დაწესებულება, 83-კერძო სამართლის იურიდიული პირი) გაიცა სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვება (ნებართვა-ფორმა №4), ხოლო 12 ორგანიზაცია-დაწესებულებას, გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების, სანდოობისა და საიმედოობის დაბალი ხარისხის გათვალისწინებით, ნებართვის მიღებაზე ეთქვა უარი.

152 დაწესებულებაში განხორციელდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვების მისაღებად და საიდუმლოების დაცვის რეჟიმისა და საიდუმლო საქმისწარმოების კომისიური შემოწმება.

სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების მსურველ 3525 ფიზიკურ პირზე განხორციელდა შემოწმების პროცედურა. სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვების მქონე 468 პირზე განისაზღვრა ნატო-ს კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან დაშვების მიზანშეწონილობის საკითხი; 450 პირს სხვადასხვა დაწესებულებიდან გაეწია მეთოდურ-ორგანიზაციული დახმარება საიდუმლო საქმისწარმოებისა და საიდუმლოების რეჟიმის დაცვის კუთხით.

საანგარიშო პერიოდში, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 17 საქმეზე. ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულია 21 პირი.

2016 წლის 20 აგვისტოს ტერორისტული აქტის ჯგუფურად მომზადებისათვის და ტერორისტული მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა, ტარების ფაქტზე, (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 323 მუხლის 1-ლი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე 323¹ მუხლის 1-ლი ნაწილით) ბრალდებულის სახით დაკავებული იქნა საქართველოს 7 მოქალაქე. გამოძიებით დადგინდა, რომ დასახელებული პირები ამზადებდნენ სოფელ საგურამოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე არაგვზე გამავალი რუსეთ-სომხეთის გაზსადენის ღია მონაკვეთის დაზიანებას აფეთქებით. შვიდივე პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით სხვადასხვა კვალიფიკაციით. თბილისის საქალაქო სასამართლოში ამჟამად მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა.

მზარდი გამოწვევებისა და ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების დაცულობას.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამტკიცებულია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტების ნუსხა, სულ 25 სუბიექტი (მთავრობის 2015 წლის 18 ნოემბრის №584 დადგენილება). 2016 წლის განმავლობაში, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა სამსახურსა და სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკის მქონე სუბიექტებს შორის. აღნიშნული უზრუნველყოფს სრულიად ახალი ინსტიტუტის ფუნქციონირებას, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე ითვალისწინებს უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლის მივლენას შესაბამის დაწესებულებაში. წარმომადგენელი უწევს სათანადო დახმარებასა და კონსულტაციას შესაბამის ორგანიზაციას სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნული ობიექტების კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის პროცესში განხორციელდა ცალკეული სუბიექტების (პირებისა და ორგანიზაციების) სრულყოფილი შემოწმება-შესწავლა. ზოგიერთი მათგანის საყურადღებო კავშირების მიმართ განხორციელდა კომპლექსური ღონისძიებები, რის შემდეგაც მოპოვებულია ოპერატიულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია. გამოვლენილია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის მაღალი რისკის მქონე ცალკეული სუბიექტების მიმართ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების დაინტერესება და ამ სუბიექტებში სადაზვერვო შეღწევის მცდელობები. მუდმივად მიმდინარეობს შესაბამისი ოპერატიული მუშაობა მაღალი რისკის მქონე სუბიექტების უსაფრთხოების ამალგებისა და კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის მიზნით.

საფრთხეების გათვალისწინებით ხორციელდება საქართველოში მოქმედი იმ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და ცალკეული ორგანიზაციების ოპერატიული კონტროლი, რომელთა საქმიანობის სფეროს გრიფით „საიდუმლო“ პროექტებზე მუშაობა, სამრეწველო და სამხედრო დანიშნულების ნივთიერებების წარმოება, შექმნა, შენახვა, რეალიზაცია, გამოყენება, გადაზიდვა და იმპორტ-ექსპორტი წარმოადგენს.

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საომარი მოქმედებებით გამოწვეული მიგრაციული პროცესების გათვალისწინებით, მუდმივად მიმდინარეობს მიგრაციული არხების მონიტორინგი. საანგარიშო პერიოდში, გამოიკვეთა უცხო ქვეყნების წარმომადგენლების საქართველოში სხვადასხვა სტატუსით დაფუძნების მსურველთა რაოდენობის ზრდა. შესაბამისად, კონტრდაზვერვითი ღონისძიებები ტარდება საქართველოში დროებით ან მუდმივად მცხოვრები, მუდმივი ბინადრობის ან ორმაგი მოქალაქეობის მქონე იმ პირების შესწავლის მიმართულებით, რომელთაც შესაძლოა კავშირი ჰქონდეთ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან.

საანგარიშო პერიოდში, შესაბამისი მასალების შესწავლისა და გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, გამოიკვეთა გარკვეული კატეგორია, რომელთაც უარი ეთქვათ საქართველოში ბინადრობის მინიჭებაზე. გამოვლინდა 1786 პირის მიერ ფიქტიური დოკუმენტაციის წარმოდგენის ფაქტი.

უსაფრთხოების სამსახური 24 საათიან რეჟიმში ახორციელებს ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის და ქ. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების გადაადგილების მონიტორინგს, მათ შორის, შესაძლო ოპერატიულად საყურადღებო პირთა და მათი კონტაქტების გამოსავლენად. საანგარიშო პერიოდში, გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, საქართველოში შემოსვლაზე უარი ეთქვა უცხო ქვეყნის 800-მდე მოქალაქეს.

ტერორიზმთან ბრძოლა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა. თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმიდან მომდინარე არაპროგნოზირებადი საფრთხეები არ შემცირებულა. საერთაშორისო ძალისხმევის მიუხედავად, ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ გლობალური ტერორიზმის ყველაზე მკაფიო გამოვლინებად რჩება. 2016 წელს პოზიციები და შესაძლებლობები შეინარჩუნეს სხვა საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაციებმაც, შესაბამისად, არ შემცირებულა მათთან ასოცირებული საფრთხეები.

საქართველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმის მაღალი რისკის ქვეყანათა რიცხვს, თუმცა აღნიშნული მიმართულებით არსებობს გარკვეული გამოწვევები. „ისლამურმა სახელმწიფომ“ და სხვა ექსტრემისტულმა დაჯგუფებებმა საქართველოს ცალკეულ რეგიონებში მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობა შეიძინეს. რადიკალური იდეოლოგიის გამავრცელებლები ცდილობენ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის რელიგიური შეხედულებები და დაბალი ცნობიერება საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ.

მნიშვნელოვანია, რომ შემცირდა ტერორისტულ საქმიანობაში ჩართვის მსურველი, რადიკალიზებული მოქალაქეების რაოდენობა.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უმთავრესი ამოცანაა სახელმწიფოს, მისი ინტერესებისა და მოქალაქეების ტერორისტული საქმიანობის ყველა ფორმისაგან დაცვა. საანგარიშო პერიოდში, ამ მიმართულებით უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები.

აღნიშნული მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციებისა და მათთან დაკავშირებული პირების საქმიანობის გამოვლენასა და აღკვეთას. სამსახურის საქმიანობა ასევე მიმართული იყო, სირიასა და ერაყში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიზნით, ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტოდ გამოყენების ფაქტების გამოვლენაზე. აქტიურად ხორციელდებოდა რადიკალური იდეოლოგიის გამავრცელებელი პირებისა და ორგანიზაციების ოპერატიული კონტროლი.

2016 წლის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის ტერორისტული აქტივობების საფუძველზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის 9 საქმეზე, რამდენიმე პირზე დაწყებულია სისხლის სამართლებრივი დევნა. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ბრალდების მხარის სასარგებლოდ, დასრულდა 2015 წელს აღძრული რამდენიმე რეზონანსული სისხლის სამართლის საქმე.

2016 წლის 7 მარტს ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ე.წ. წარმომადგენელ აიუფ ბორჩაშვილსა და მისი დაჯგუფების წევრებს (გ. კუპრავა, გ. ხუტუნაშვილი და დ. ფირისებია) თბილისის საქალაქო სასამართლომ, სხვადასხვა ვადით, თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2016 წლის აგვისტოში სასამართლოს მიერ ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაში დამნაშავედ იქნა ცნობილი დავით ბორჩაშვილიც, რომელსაც სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან, საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით პატიმრობაში მყოფ შარხან მარგოშვილს, 2016 წლის აგვისტოში მოპოვებული დამატებითი მტკიცებულებების საფუძველზე, ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლით, რაც ტერორისტული ორგანიზაციის წევრობას გულისხმობს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოავლინა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული რამდენიმე პირი. 28 დეკემბერს სსკ-ს 327-ე მუხლით დაიწყო გამოძიება უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ, რომელიც საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერი დაჯგუფების შექმნას ცდილობდა. კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდა უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების 15 კაციანი ჯგუფის მიმართ, რომლებიც ექსტრემისტული მოწოდებებით ტერორიზმის იდეოლოგიურ მხარდაჭერას ახორციელებდნენ.

2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა. ხორციელდებოდა ბიზნეს და საქველმოქმედო ორგანიზაციების საფარქვეშ მოქმედი, ტერორისტული დაჯგუფებების ფინანსური ინტერესების შესაძლო

გამტარებელი პირების საქმიანობის კონტროლი. გამოვლენილ იქნა უცხო ქვეყნის 20-მდე მოქალაქე, რომელთაც დაფუძნებული ჰქონდათ საექვო ფინანსურ საქმიანობაში ჩართული იურიდიული პირები. 2016 წლის 2 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ტერორიზმის დაფინანსებას გულისხმობს, საქართველოს მოქალაქის წინააღმდეგ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა და მიმდინარეობს გამოძიება.

გამოვლენილია „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერი, საზღვარგარეთ მცხოვრები, საქართველოს რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც სხვადასხვა ინტერნეტ რესურსის, კერძოდ, ე.წ. ბლოგებისა და სოციალური მედიის გამოყენებით ეწეოდნენ ტერორისტული ორგანიზაციის იდეოლოგიურ მხარდაჭერას. 2016 წლის აპრილსა და ოქტომბერში სსკ-ს 328-ე მუხლით, რაც ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებას ან ტერორისტულ საქმიანობაში დახმარებას გულისხმობს, აღნიშნული პირების მიმართ დაიწყო გამოძიება.

უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მუშაობდა სირიასა და ერაყის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მიღების მსურველთა მიერ საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტულად გამოყენების აღკვეთის მიმართულებით. დადგენილია პირი, რომელიც დახმარებას უწევდა კონფლიქტის ზონაში გამგზავრების მსურველ ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირში მყოფ პირებს. ასევე, ეხმარებოდა მათ სხვადასხვა ტიპის გზავნილების მიღებაში. აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

საანგარიშო პერიოდში მუდმივად ტარდებოდა შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს მოქალაქეების საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისთვის გამგზავრების პრევენციის მიზნით. სუს-სა და პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებს შორის მუდმივად ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებულ ან/და კავშირში მყოფ პირებზე, ასევე ტრანზიტულად გადაადგილების მსურველებზე. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სასაზღვრო კონტროლზე დაყენებულ იქნა რამდენიმე ასეული პირი. მთლიანობაში, კონტრტერორისტული მიმართულებით, საქართველოს სასაზღვრო კონტროლზე აყვანილ იქნა 1500 პირი, ხოლო 750-ს აეკრძალა საქართველოში შემოსვლა.

ტერორისტული საქმიანობისთვის ქვეყნიდან გამგზავრება/შემოსვლის პრევენციის მიზნით, შსს-სთან თანამშრომლობით, სათანადოდ ხორციელდება სასაზღვრო კონტროლი, ხდება ვიზიტორებთან გასაუბრება. ყველა სასაზღვრო-გამტარი პუნქტი აღჭურვილია ბირთვული და რადიოაქტიური

მასალების/ნივთიერებების აღმომჩენი დეტექტორებით. პერმანენტულ რეჟიმში ხორციელდება საზღვრის მართვაში ჩართული უწყებების თანამშრომელთა გადამზადება, მათ შორის, ყალბი სამგზავრო დოკუმენტების აღმოჩენის სფეროში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ურთიერთობა აშშ-სთან, ისრაელთან, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიასთან კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაუმჯობესების (საგამომიებო და ანალიტიკური სასწავლო კურსები), ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ერთობლივი ღონისძიების დაგეგმვის მიმართულებით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ტერორისტულ საფრთხეებზე მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესებას. გაგრძელდა ტერორისტული თავდასხმის პოტენციური სამიზნე სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტებისა და მათი დამხმარე შენობა-ნაგებობების პასპორტიზაცია და რისკების ანალიზის პროცესი. მიმდინარეობდა მაღალი რისკის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების (ე.წ. იოლი სამიზნეები) უსაფრთხოების ზომების შეფასებაც. მუდმივად ხდებოდა ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური დანაყოფების მომზადება/გადამზადება როგორც ტაქტიკური მოქმედებების, ისე განაღმვითი სამუშაოების და მასობრივი განადგურების საშუალებების გამოვლენისა და გაუვნებელყოფის კუთხით.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) საფრთხეების პრევენცია სახელმწიფო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტია. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ხელმძღვანელობს ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოს, რომლის ფარგლებში შემუშავებული და დამტკიცებულია ქბრბ საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა.

უსაფრთხოების სამსახურის ორგანიზებით, 2016 წლის 13 მაისს ჩატარდა ქბრბ საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომელზეც წევრმა უწყებებმა ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ერთი წლის ანგარიში წარმოადგინეს. სხდომას ასევე ესწრებოდნენ გაერო-ს

დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის რეგიონთაშორისი ინსტიტუტის (UNICRI), აშშ-ის საელჩოსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები, რომლებმაც საქართველოს მიერ ქბრბ უსაფრთხოების სფეროში მიღწეული პროგრესი მაღალ დონეზე შეაფასეს.

2016 წლის გაზაფხულზე საქართველო შეუერთდა დიდი შვიდეულის მასობრივი განადგურების იარაღისა და მასალების გავრცელების წინააღმდეგ გლობალურ პარტნიორობას. ქ. ტოკიოში გამართულ პარტნიორობის შეხვედრაზე უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა წარადგინა ქბრბ სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმა ასევე განხილული იყო 2016 წლის 7 დეკემბერს, ვენაში, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ბირთვული უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში.

საქართველოს ქბრბ უსაფრთხოების შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით მეტად მნიშვნელოვანია საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიებები. 2016 წლის 30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით ქვეყანამ უკვე მეორედ უმასპინძლა „ქბრბ მეცნიერებისა და შედეგების მართვის მსოფლიო კონგრესს“, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის ძალისხმევით ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო 30 ქვეყნის 200-მდე წარმომადგენელმა. ასევე, 6-7 ოქტომბერს გაიმართა „თბილისის რეგიონული უსაფრთხოების მეორე საერთაშორისო ფორუმი“ შავი ზღვის რეგიონში არსებული ბირთვული და რადიაციული გამოწვევების თემაზე.

ივნისში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და თბილისში აშშ-ის საელჩოს ორგანიზებით გაიმართა ბირთვული კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ქართულ-ამერიკული ორმხრივი დიალოგი, სადაც ქართულმა მხარემ აშშ-თან ხელმოწერილი ბირთვული მასალების კონტრაბანდის წინააღმდეგ ერთობლივი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარადგინა. ამერიკელმა პარტნიორებმა ხაზი გაუსვეს საქართველოს წარმატებას აღნიშნული გეგმის განხორციელებაში, განსაკუთრებით კი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ბირთვული და რადიოაქტიური მასალების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქბრბ ნივთიერებებისა და მასალების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლას. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, საანგარიშო პერიოდში აღკვეთილია რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობის 2 ფაქტი. 14 აპრილს ქ. თბილისში ამოღებულია ქარხნული წესით დამზადებული სპეციალური კონტეინერი, რომელშიც მოთავსებული იყო

„ურან 238“ (გადარიბებული ურანი), დაკავებულია 6 პირი. 25 აპრილს, ქ. ქობულეთში ამოღებულია 1665,5 გრ. რადიოაქტიური ნივთიერება (81 ცალი ცილინდრული ფორმის საგანი), რომელიც შეიცავდა „ურან 235“-ს და „ურან 238“-ს, დაკავებულია 6 პირი.

სუს-ი უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვარზე არსებული რადიაციული კონტროლის სისტემების ტექნიკურ და პროგრამულ გამართულობას. სახელმწიფო საზღვარზე ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერების გამოვლენის სფეროში სამსახური აშშ-ის ენერჯეტიკის დეპარტამენტის მთავარი პარტნიორია.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აგრძელებს მჭიდრო თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებსა და ორგანიზაციებთან ქვეყნის ქბრბ უსაფრთხოების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობა გაეროს დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის რეგიონთაშორის ინსტიტუტთან, ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან, ასევე აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და შვედეთის მთავრობებთან.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. საჯარო უწყებებში კორუფციის არსებობა იწვევს მოქალაქეების მხრიდან სახელმწიფოსადმი ნდობის დაკარგვას, ხელს უშლის სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას და მისი ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებას. ამასთან, კორუფციაში ჩართული საჯარო მოხელეები სხვადასხვა დანაშაულებრივი დაჯგუფების ან/და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ინტერესის სფეროს წარმოადგენენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, მისი კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად არის ჩართული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

სამოხელეო დანაშაულის, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის ფაქტების, ასევე საქართველოს ეკონომიკური საფუძვლების, ეკონომიკური საქმიანობის და ფულად-საკრედიტო სისტემის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პრევენცია, ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და აღკვეთა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

კორუფციასთან ბრძოლაში თანამედროვე სტანდარტებისა და მიდგომების დასანერგად, ასევე საჯარო სამსახურში კორუფციასთან ბრძოლის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სამსახური აქტიურად

თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები საანგარიშო პერიოდში აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე ორგანიზებულ კონფერენციებში, ტრენინგებში, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად იყო ჩართული „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების პროცესში. ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, მომზადდა ცვლილებები საქართველოს ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიაში და შემუშავდა „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა“.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად, განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო ღონისძიებების შედეგად დაკავებულია არაერთი საჯარო მოხელე. მათ შორის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობის საუბნო სამსახურის უფროსი - ქრთამის ალების ფაქტზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგებელი - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის ფაქტზე, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ააიპ „სენაკის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის“ დირექტორი და მისი მოადგილე - ქრთამის ალების ფაქტზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ქრთამის ალების ფაქტზე, ქ. თბილისის მერიის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე - ქრთამის ალების ფაქტზე.

ასევე, ქრთამის ალების ფაქტებზე დაკავებულ იქნა შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს უფროსი და შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი, შსს-ს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე.

2016 წლის 15 იანვარს საქართველოს მთავარი პროკურატურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ქონების სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაფლანგვისა და ორგანიზებული

ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი თანხის მითვისების ფაქტზე, დაკავებულია შპს „მექანიზატორის“ 5 თანამშრომელი. აღნიშნული დანაშაულებრივი სქემით, საერთო ჯამში, სახელმწიფოს მიადგა 260 000 ლარის ზიანი.

2016 წლის 18 ივნისს, ქრთამის აღების ფაქტზე დაკავებულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომელი, რომელმაც აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეს ბინის მიღებაში დახმარების სანაცვლოდ მოსთხოვა და გამოართვა 7000 აშშ დოლარი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოში 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 47 საქმეზე, მათ შორის, ქრთამის აღების 22, ქრთამის მიცემის 2, თაღლითობის 8, კომერციული მოსყიდვის 5, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების 4, მითვისების ან გაფლანგვის 2, სამსახურებრივი გულგრილობის 2 და სხვა ცალკეულ დანაშაულებზე. საანგარიშო პერიოდში ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 59 პირი 32 სისხლის სამართლის საქმეზე.

ანალიტიკური საქმიანობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეებისა და გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მაღალი დონის ანალიტიკური შესაძლებლობებია. შესაბამისად, უსაფრთხოების სამსახური საანგარიშო პერიოდში მუდმივად ახდენდა ინფორმაციის სწრაფ დამუშავებას და ხარისხიან ანალიზს.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური გუნდი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე სამსახურის ხელმძღვანელობის ინფორმირების მიზნით, კვალიფიციურ და მაღალპროფესიულ დონეზე ახორციელებდა ინფორმაციის სისტემატიზაციას, ვითარების რელევანტურ ანალიზს, საფრთხეების პროგნოზირებასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. საანგარიშო პერიოდში, ანალიტიკოსთა მიერ მომზადდა 1000-მდე ანალიტიკური და საინფორმაციო ბარათი, შემუშავდა სხვადასხვა სახის რეკომენდაციები.

ანალიტიკური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად მიმდინარეობდა ღია და ფარული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგიის დახვეწა, სტრუქტურულ დანაყოფებს

შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის მეთოდების გაუმჯობესება, რაც გადამწყვეტია ინფორმაციის დროულად ხელმისაწვდომობისთვის მისი ანალიტიკური დამუშავების პროცესში. შექმნილია სხვადასხვა მუდმივმოქმედი და დროებითი სამუშაო ჯგუფები, სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების საპასუხოდ.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დიდი ყურადღება ეთმობა ანალიტიკოსთა რეგულარულ პროფესიულ გადამზადებასა და მათი უნარების განვითარებას, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო პარტნიორებს.

ანალიტიკოსთა საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებას ემსახურება ასევე უწყების გარეთ არსებული ანალიტიკური რესურსის გამოყენება და მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა კვლევით ცენტრებთან, აკადემიურ წრეებთან და შესაბამის უწყებებთან.

პიროვნების პერსონალურ მონაცემთა დაცვა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

უსაფრთხოების სამსახურმა საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პიროვნების პერსონალურ მონაცემთა დაცვას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის უფლებამოსილება ვრცელდება ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელებაზე, შესაბამისად სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადების განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ ორ-ეტაპიანი, ე.წ. „ორგასაღებიანი“ სისტემით. აღნიშნული გამორიცხავს ინსპექტორის თანხმობის გარეშე ობიექტების აქტივაციის შესაძლებლობას.

უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა ინსპექტორთან ამ მიმართულებით და ატარებდა ყველა აუცილებელ ღონისძიებას კონტროლის ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად. ინსპექტორის აპარატის წარმომადგენლები გაეცნენ შიდა სამართლებრივ დოკუმენტებს, რომლებიც არეგულირებენ ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურულ და ორგანიზაციულ საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის მიერ განხორციელდა სუს-ის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის გეგმიური ინსპექტირება. აღნიშნული მიზნად ისახავდა სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების, ასევე კავშირგაბმულობის არხიდან/კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის ფარული საგამომიებო მოქმედებების, ასევე მონაცემთა ბანკების

გამოყენების ტექნიკური, ორგანიზაციული და პროცედურული საკითხების შემოწმებას. შემოწმების დასრულების შემდეგ ინსპექტორის მიერ შემუშავებული შესაბამისი შენიშვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი დანაყოფის მიერ.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფდა საჯარო ინფორმაციის გაცემას. 2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე შემოვიდა 658 განცხადება, რომელთაგან დაკმაყოფილდა 458, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 8, შემდგომი რეაგირებისათვის გადაიგზავნა 130 და არ დაკმაყოფილდა 62 განცხადება.

სუს-ის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და სამსახურის საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, შეიქმნა სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი (ssg.gov.ge). ასევე 2016 წლის აგვისტოდან ამოქმედდა სუს-ის ცხელი ხაზი „123“.

სამართლებრივი ბაზა და სასამართლოებთან ურთიერთობა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სამართლებრივი ბაზის სრულყოფას. 2016 წლის განმავლობაში აქტიურად გრძელდებოდა ახალი სამართლებრივი აქტების შემუშავების პროცესი, რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დამოუკიდებელ, სრულყოფილ ფუნქციონირებასთან. საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ეფექტიანი საქმიანობის მიზნით, შემუშავდა და გამოიცა 200-ზე მეტი ახალი სამართლებრივი აქტი. ასევე, სამსახურმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ მომზადებულ 500-მდე სამართლებრივი აქტის პროექტზე.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აქტიური ჩართულობით მომზადდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან სამოქალაქო ავიაციის უშიშროების დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც განისაზღვრა სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო და მოწესრიგებულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სამინისტროთა (უწყებათა, საწარმოთა) უფლებამოსილებები, საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ზედამხედველობს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებსა და მითითებებს სამოქალაქო ავიაციის სფეროში მართლსაწინააღმდეგო ქმედების

თავიდან აცილების მიზნით. ასევე, ხელმძღვანელობს საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებებს და კოორდინაციას უწევს აღნიშნულ სფეროში კონტრტერორისტულ საქმიანობას.

ამოქმედდა სამსახურის უფროსის ბრძანება „თავისუფლების ქარტია“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კომისიის შემადგენლობისა და საქმიანობის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, რომელიც მიზნად ისახავს ყოფილი სსრკ-ის სპეციალური სამსახურების საიდუმლო თანამშრომლების აღიარებასა და კომუნისტური, ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების და პროპაგანდის აკრძალვას. აღნიშნულმა კომისიამ მოქმედება დაიწყო 2016 წლის 1 მაისიდან.

აღსანიშნავია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აქტივობა საქართველოს საერთო სასამართლოებთან ურთიერთობის კუთხით. საანგარიშო პერიოდში საერთო სასამართლოებს, შესაბამისი განჩინების საფუძველზე, სამსახურის მიერ შეუფერხებლად მიეწოდათ ამა თუ იმ საქმის განხილვისათვის საჭირო საიდუმლო თუ არასაიდუმლო ინფორმაციები/მტკიცებულებები. 2016 წელს საერთო სასამართლოებში გაიგზავნა 200-მდე ინფორმაცია/მტკიცებულება. ასევე საანგარიშო პერიოდში უსაფრთხოების სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 14 სასამართლო დავის საქმეში.

ადამიანური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ პროფესიონალი და კომპეტენტური კადრები. ოპერატიული თანამშრომლების, ანალიტიკოსების, გამომძიებლების, ღია და ფარული შემადგენლობის, საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერების ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება კანონის მოთხოვნათა საფუძველზე, მაღალი პროფესიული სტანდარტით, კეთილსინდისიერად, პასუხისმგებლობითა და ეთიკის ნორმების დაცვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, რაც მოიცავს სხვადასხვა აკადემიური განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე საუკეთესო კადრების მოზიდვასა და დასაქმებას, მოტივირებას, განვითარებას, წახალისებასა და მათი კარიერული წინსვლის უზრუნველყოფას.

სახელმწიფო უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევებისა და მათ გადასაჭრელად აუცილებელი უნარ-ჩვევების საჭიროების შესაბამისად მუდმივად ფასდება უსაფრთხოების სამსახურის ადამიანური რესურსის შესაძლებლობები და

კომპეტენცია. სამსახურში უზრუნველყოფილია დასაქმების თანაბარი ხელმისაწვდომობა ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და გენდერული თვალსაზრისით.

სამსახურში თანამშრომელთათვის შექმნილია სათანადო სამუშაო პირობები, მათ შორის, შესაბამისი ანაზღაურებითა და სოციალური პაკეტით. აღნიშნული მნიშვნელოვანია როგორც შესაბამისი კადრების მოზიდვისათვის, ასევე მათი შენარჩუნებისა და მოტივირებისთვის, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხშირად მათი საქმიანობა გარკვეული რისკების შემცველია.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საშტატო რაოდენობა განისაზღვრება 3850 ერთეულით. უწყებაში დასაქმებულია 3764 მოსამსახურე, მათ შორის, 549 ქალი (14,6%).

უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისთვის საუკეთესო პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა უწყების ერთ-ერთი პრიორიტეტია. უსაფრთხოების ცვალებადი გარემო მუდმივად წარმოშობს სასწავლო პროგრამების განახლების აუცილებლობას. არსებული და ახალი სპეციალური სასწავლო პროგრამების მიხედვით განხორციელდა კონტრდაზვერვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტების, კონტრტერორისტული ცენტრისა და ანტიკორუფციული სააგენტოს ოპერატიულ თანამშრომელთა გადამზადება. საერთო ჯამში, 2016 წლის განმავლობაში სპეციალური გადამზადების კურსი გაიარა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 361-მა მოსამსახურემ.

2016 წელს შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ თანამშრომელთა მომზადების სპეციალური კურსი/პროგრამა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტაქტიკური დანაყოფების მომზადებას. სუს-ის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის ბაზაზე, 2016 წლის სექტემბერში დაიწყო „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტში ჩასარიცხ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ანტიტერორისტული მომზადების კურსი/პროგრამა“.

ტაქტიკური დანაყოფების გადამზადების პროცესში აქტიურად არიან ჩართული უცხოელი სპეციალისტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ის როლი. ერთობლივად შემუშავდა და დაიხვეწა სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის საბრძოლო დანაყოფების სპეციალობების - სნაიპერის, მეტყვიამფრქვევის, ყუმბარმტყორცნელის, შემღწევის, პარამედიკის, მეკავშირის და მეიარაღის გადამზადების სასწავლო პროგრამები.

აშშ-ის მხარდაჭერითა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კოორდინაციით, 2016 წლის აგვისტოში საქართველოში ჩატარდა ერთობლივი მასშტაბური ანტიტერორისტული წვრთნა “Jackal Stone 2016”, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და აშშ-ის სამხედრო, სამოქალაქო და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა. სწავლება მოიცავდა როგორც მძევლების გათავისუფლების და ტერორისტების განადგურების, ასევე ქბრბ ნივთიერებების ამოღების სასწავლო ღონისძიებებს. სწავლება ხორციელდებოდა როგორც ერთობლივად, ამერიკელი პარტნიორების მონაწილეობით, ასევე დამოუკიდებლად მხოლოდ ქართული მხარის უშუალო შესრულებით. წვრთნების მიზანს წარმოადგენდა აშშ-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის განმტკიცება და საქართველოს შესაბამისი უწყებების შესაძლებლობების გაზრდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

უსაფრთხოების სამსახურის პირადი შემადგენლობა აქტიურად არის ჩართული პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით ჩატარებულ სასწავლო კურსებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

სამსახური საკუთარი თანამშრომლების განვითარებასა და კარიერულ წინსვლასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სისტემაში არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენას, მათ შორის, დისციპლინური გადაცდომების აღმოფხვრას, დანაყოფების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლს, მათ მიერ მატერიალური და ფინანსური რესურსების განკარგვის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმებას.

საანგარიშო პერიოდში, გამოვლინდა სამსახურის სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტები და განხორციელდა სათანადო რეაგირება. სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა უსაფრთხოების სამსახურის 206 თანამშრომელს (მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნა 4, სასტიკი საყვედური 33, საყვედური 13, შენიშვნა 11 და ა.შ.).

უსაფრთხოების სამსახურის წინაშე არსებული გამოწვევების სათანადოდ გამკლავებისთვის აუცილებელია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა და მისი მუდმივი განახლება. საანგარიშო პერიოდში განახლდა კავშირგაბმულობისა და რადიო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. ჩანაცვლდა მოძველებული საოფისე და კომპიუტერული ტექნიკა. განხორციელდა ამორტიზებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო სპეციალური საბრძოლო დანაყოფების საველე

სწავლებლებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, სპორტული მოედნები და სასწავლო-საბრძოლო წერტილები.

უწყებათშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციასა და პარტნიორ სახელმწიფოებთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

უწყებათშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის სრულყოფა და გაღრმავება არის ქვეყნის უსაფრთხოების გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გრძელვადიანი მიზანია ევროპის და ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლის შექმნა წარმატებული კონტრიბუტორის რანგში. აღნიშნული შესაძლებელია გამართული უწყებათშორისი და ღრმა საერთაშორისო თანამშრომლობის გზით.

საანგარიშო პერიოდში სუს-ი მჭიდროდ თანამშრომლობდა შინაგან საქმეთა, თავდაცვის, საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან, საგარეო დაზვერვის სამსახურთან, უშიშროების საბჭოსა და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან, ასევე სხვა სახელმწიფო უწყებებთან. სუს-ი აქტიურად მონაწილეობდა არაერთ უწყებათშორის საბჭოსა და მის ფარგლებში შექმნილ რიგ სამუშაო ჯგუფებში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ჩაერთო ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის საქმიანობაში, რომლის ამოცანაა საქართველოს საზღვაო სივრცეში მოსალოდნელი საფრთხეებისა და გამოწვევების უწყვეტ რეჟიმში დროული გამოვლენისა და რეაგირების უწყებათშორისი მექანიზმის ჩამოყალიბება.

უსაფრთხოების სამსახურის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სტრატეგიულ პარტნიორებთან, მეგობარ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარებას სხვადასხვა ქვეყნებთან.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის მიმართულებით განხორციელდა ცვლილება 11 მთავრობათშორის საერთაშორისო ხელშეკრულებაში, რომელთა საფუძველზეც, საქართველოს მხრიდან აღნიშნული ხელშეკრულებების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ კომპეტენტურ უწყებად დამატებით განისაზღვრა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა აქტიურად დაიწყო მისთვის მინიჭებული უწყებათშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების უფლებამოსილების აღსრულება პრაქტიკაში. 2016 წლის განმავლობაში ხელი მოეწერა სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებთან უწყებათშორისი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას. საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივი დაცვის შესახებ შეთანხმება გაფორმებულია 17 სახელმწიფოსთან.

საანგარიშო პერიოდში, სუს-ის აქტიური მონაწილეობით, დასრულდა და 2016 წლის 1 მარტს ძალაში შევიდა „საქართველოს მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმების პროექტი, ასევე 2016 წლის 23 ივნისს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და დაცვის უსაფრთხოების პროცედურების შესახებ“ შეთანხმებას.

სამსახურის მხრიდან დამუშავდა სხვადასხვა სფეროში ინიცირებული 102 საერთაშორისო შეთანხმების პროექტი. განხორციელდა აღნიშნული პროექტების სამართლებრივი ანალიზი და მათში სათანადოდ აისახა სამსახურის საქმიანობის მიმართულებები და უწყების ხედვა.

უსაფრთხოების სამსახური განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირე ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორულ თანამშრომლობას. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის საელჩოსთან სხვადასხვა ფორმატში, მათ შორის, გამომიების ფედერალური ბიუროს (FBI), ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL), აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოს (DTRA), ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების (EXBS) და სხვა პროგრამების ფარგლებში. 2016 წლის განმავლობაში, როგორც აშშ-ში, ისე საქართველოში, უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე გაიმართა 10 ორმხრივი შეხვედრა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ინტენსიურად თანამშრომლობს საქართველოში აკრედიტებულ სხვადასხვა ქვეყნების უსაფრთხოების ატაშეებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლებთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სისტემატურად მიმდინარეობდა მათთან ინფორმაციის გაცვლა და კოორდინაცია.

სუს-ი აქტიურადაა ჩართული ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციისა და სათანადო დოკუმენტების მომზადების პროცესში. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური ჩართული იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის

სამოქმედო გეგმის შესრულების ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში. ასევე ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან თანამშრომლობის პროგრამებსა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად მონაწილეობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ევროპის საბჭოს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო (PCF) პროგრამის პროექტში - „საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა“.

საქართველო არის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური კოალიციის აქტიური წევრი და ჩართულია სხვადასხვა ანტიტერორისტულ ოპერაციებში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ასევე გახდა ევროპის საბჭოს ტერორიზმთან ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტის (CODEXTER) წევრი, რომლის მიზანია ევროპის საბჭოს ფარგლებში, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთაშორისო სამართლებრივი და სხვა დოკუმენტების შემუშავება.

2016 წლის 22 ივნისს, ქ. ვენაში ეუთო-ს შტაბ-ბინაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა ეუთო-ს უსაფრთხოების კომიტეტს წარუდგინა საქართველოს ნებაყოფლობითი ანგარიში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ქვეყანაში გაწეული საქმიანობის თაობაზე. ეუთო-ს წევრი ქვეყნების მხრიდან დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები.

სუს-ი ინტენსიურად თანამშრომლობს ნატო-სთან და მის სამეკავშირეო ოფისთან. სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ნატო-ს წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებსა და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის პროცესში. სამსახური, ასევე აქტიურად მუშაობს ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) ფარგლებში.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა გაერო-სთან თანამშრომლობის გაღრმავებას. სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ გაერო-ს ორგანიზებით გამართულ არაერთ ღონისძიებაში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესწავლა და ანალიზი.